საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გოჩა ჯეირანაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: ბიბილეიშვილი

თარიღი: 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„29“ აპრილი, 2024 წ. ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **გოჩა ჯეირანაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევად.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულების შესაბამისად, წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირებული იქნა **გოჩა ჯეირანაშვილი.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 19 აპრილს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის-**გოჩა ჯეირანაშვილის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, **გოჩა ჯეირანაშვილი** (როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი), შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

გოჩა ჯეირანაშვილი გამოირჩევა კორექტულობით, თავდაჭერილობით, შეუვალობით, პრინციპულობით და მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურეობრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები **გოჩა ჯეირანაშვილის** პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად. აგრეთვე, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად ასევე **არ** იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

დასკვნა: ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი-**გოჩა ჯეირანაშვილი** **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

გოჩა ჯეირანაშვილი სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართლის სფეროს, საერთაშორისო სამართლის საკითხებს, საპროცესო კანონმდებლობას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. საჯარო მოსმენაზე უმეტესწილას სწორად განმარტა დასმული შეკითხვების დროს წამოჭრილი სამართლებრივი საკითხები. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია).

დასკვნა: კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გოჩა ჯეირანაშვილი** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

გოჩა ჯეირანაშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 18 წლის გამოცდილება. ამასთან, კანდიდატი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებითა და აზრის დამაჯერებლად და კვალიფიციურად გადმოცემის უნარით. აშკარად იკვეთება, რომ მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეძენილი აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება და

მოსამართლისთვის აუცილებელი ქცევის უნარები. მას შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გოჩა ჯეირანაშვილი** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.3. წერის უნარი</u>

გოჩა ჯეირანაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი. კერძოდ, კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ იგი ახერხებს სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმას და მისი მსჯელობის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემას. მნიშვნელოვანია, ითქვას ისიც, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

<u>დასკვნა:</u> წერის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გოჩა ჯეირანაშვილი** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

გოჩა ჯეირანაშვილს აქვს კარგი, გამართული მეტყველების უნარი. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი საჯარო მოსმენაზე იყო საკმაოდ მოტივირებული, მშვიდი, ნათლად და გასაგებად გამოსცემდა საკუთარ შეხედულებებს და არგუმენტირებულ მსჯელობას. მნიშვნელოვანია და უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს გააჩნია სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი. შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტეს წილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გოჩა ჯეირანაშვილი** უნდა შეფასდეს 15 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში)</u>

გოჩა ჯეირანაშვილი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით და გააჩნია გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2021 წლის თებერვლიდან - 2024 წლის თებერვლამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 83,7%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს 90%-ს.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გოჩა ჯეირანაშვილი** უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

გოჩა ჯეირანაშვილი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი. აღსანიშნავია, რომ ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების, ასევე ცოდნის გაზიარების მიზნით იგი ჩართულია პედაგოგიურ საქმიანობაში.

- 2010 წლის ნოემბრიდან 2018 წლის იანვრამდე ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სისხლის სამართლის პროცესის და სამოქალაქო სამართლის პროცესის განხრით.
- 2020 წლის სექტემბრიდან 2022 წლის ივნისამდე სამოქალაქო პროცესის მიმართულებით.
- 2023 წელს ხელშეკრულების საფუძველზე, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩაატარა ორი ტრენინგი მიგრაციის თემაზე.

<u>ნაშრომები/პუბლიკაციები:</u>

- გამოქვეყნებული აქვს სტატია:
  - „ბრალის ნორმატიული და ფსიქოლოგიური გაგება" ჟურნალი ინტელექტუალი #20 2012წ

<u>საკვალიფიკაციო გამოცდები/სასწავლო კურსები:</u>

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა
  - კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2006 წლის ოქტომბერი)

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გოჩა ჯეირანაშვილი** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

<u>2.7. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **გოჩა ჯეირანაშვილის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, კერძოდ:

- 2-6 მაისი, 2022 წელი, კომპლექსი ლოპოტა, მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა.
- 30 აპრილი და 1-8 მაისი, 2022 წელი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ დაგეგმილი დისტანციური სემინარი - „ბავშვის უფლებათა კოდექსი".
- 29-30 ოქტომბერი, 2022 წელი, წყალტუბო, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით გამართული ტრენერთა ტრენინგი (ToT).
- 1-3 დეკემბერი, 2022 წელი, თბილისი, „ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციის" (BRIPA) მიერ გადახდისსუნარობის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ახალი გადახდისუუნარობის კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე გამართული სამუშაო შეხვედრა.
- 17-19 თებერვალი, 2023 წელი, მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა.

- 23-28 მაისი, 2023 წელი, კომპლექსი ლოპოტა, მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა.
- 28-30 ივნისი, 2023 წელი, კომპლექსი ლოპოტა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა.
- 15-16 ივლისი, 2023 წელი, კახეთი (სასტუმრო „ლოპოტას ტბა"), საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის" (GIAC) ორგანიზებითა და აშშ-ის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა - „ინფრასტრუქტურული პროექტებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების - დავების გადაწყვეტის მექანიზმების სპეციფიკა - ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივები".
- 28-30 ივლისი, 2023 წელი, ბათუმი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ საქპატენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ".
- 10-14 სექტემბერი, 2023 წელი, კომპლექსი ლოპოტა, მოსამართლეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **გოჩა ჯეირანაშვილი** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **გოჩა ჯეირანაშვილი** სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **<u>92</u>** (ოთხმოცდა თორმეტი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნევრი